საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი, 26 მარტი 1919 წ. პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ალითელა

ფასი 75 კაპ.

[illegible] 1 [illegible] 18 [illegible] ფასი 75 კაპ. [illegible] ტელეფონი 16—62.

№ 68 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 68

[illegible] ესე სტეფანეს ძე ქილიფთარი

[illegible] 26 მარტს [illegible] 2 საათზე სოფ. [illegible] (ოზურგეთის მაზრა) [illegible] ნატანებით.

[illegible] ესე ანდრიას ძე მესხიევის

[illegible]

[illegible] ესე ანდრიას ძე [illegible]

[illegible] 27 [illegible] 8 [illegible] № 111.

[illegible] ესე [illegible]

[illegible] ესე [illegible]

[illegible] ესე [illegible]

ᲓᲦᲔᲡ

ხაზავო კონფერენციაზე აზრთა ხსვადასხვაობა და უთანხმოება თანდათან იზრდება და უმაღლეს წერტილს აღწევს. ინგლისური პრესის გადმოცემით მოხალოდნელია კონფერენციის მუშაობის სრულიად შეწყვეტა.

ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხაბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 9 ხმით, წინააღმდეგ 8 ხმისა დაადგინა დანიშნოს ახალი არჩევნები.

გერმანიის მრავალ ქარხნებში, რომლებშიც ხალხარმახალას ამზადებდენ, უკვე შეუდგენ მზვაღმობიანი დროისთვის ხაჭირო საგნების დამზადებას.

მოკავშირეების მიერ წაყენებული ზავის პირობებით გერმანიაში საერთო უკმაყოფილებაა. გერმანელების აზრით შეუძლებელია ახალი ევროპის წოწყობა, თუ უარყოფილ იქნა გერმანიის თანამშრომლობა.

**ბალშევიკების ცნობით გალიციაში რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერდება, რასაც ხელს უწყობს რუსი-კომუნისტი ... ...

ღე ხალხთა ლიგის წესდებასთან იყო დაკავშირებული, მაშინ, როდესაც საზავო ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებულ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ორშაბათს კვლავ შეუდგებიან ლიგის წესდების გადასინჯვას და იმედი აქვთ, რომ სამშაბათს საღამოთი დაასრულებენ მას. როგორც სჩანს, საერთო სხდომა წესდების მისაღებად არ შესდგება. თუმცა, როდესაც მის განხორციელებას დაიწყებენ, ავსტრიას, იაპონიას, საფრანგეთს და სხვა ერებს, რომელნიც მოითხოვენ უკანასკნელ. (გაუგებარია) ცვლილებაში შეუძლიანთ უარჰყონ ის, რაც გაეთებულია. საერთოდ ჯერ გადაწყვეტილი არაა წარმოდგენილი იქნება თუ არა საერთო სხდომაზე საზავო ხელშეკრულება, რომელშიაც შევა ლიგის წესდება, მანამდე, ვიდრე ზავის პირობებს გერმანელებს წარუდგენენ, რადგან უმთავრესად სახეში აქვთ საქმის დაჩქარება და ათთა საბჭოს ეშინია დაგვიანების იმ შემთხვევაში, თუ... (გაუგებარია) საკითხების გარშემო კამათი გაიმართა საზავო კონფერენციის მონაწილეებმა კარგათ უწყიან, რომ პრინციპიალურად ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ მათ შეუძლიათ არ გაიზიარონ ზოგიერთი მუხლის განმარტება და მათი რედაქციის წინააღმდეგნი იყვნენ. ფრანგული პრესა მოუწოდებს პროტესტი განაცხადონ ხალხთა ლიგის წინააღმდეგ. თუ იგი იგივე დარჩა, როგორც ეხლაა, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ ახალ წესდებაში უფრო კონკრეტიულად იქნება გარკვეული ლიგის ფუნქციები და მასში უფრო ნაკლები იქნება განყენებული თეორია და იდეალიზმი.

პრეზიდენტი ვილსონი აპირებს ლიგის წესდების გადაკეთებას და შეიტანს მასში რასიულ თანასწორობის საკითხს, რასაც იაპონელები მოითხოვენ, და აგრეთვე იმის განმარტება, რომ საშინაო და ეროვნული პოლიტიკა ლიგის გამგებლობაში არ იქნება. რაც, როგორც ფიქრობენ, დააკმაყოფილებს იაპონიას და უნდა ეთანხმებოდეს. (გაუგებარია). ვილსონი ფიქრობს, რომ ეს დაიწყნარებს აგრეთვე ავსტრალიელებს. რაც შეეხება იაპონიის ნიშნები იყო იმისა, რომ მისი დელეგატები მზათ იყვნენ.

დათანხმებოდნენ ყველაფერს. რაც კი მათ საშუალებას მისცემდა სახლში ისე დაბრუნებულიყვნენ, რომ თანასწორების პრინციპები რაოდენადმე მიღებულ ყოფილიყო. იაპონია კარგათ გრძნობს, რომ ის აქ უძლურია და სცდილობს შეურიგდეს თავის მდგომარეობას.

ᲒᲠᲔᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

უნგრეთის საბჭოთა მთავრობის მიერ მოსკოვის საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ რადიოზე, სადაც იუწყებოდნენ, რომ უნგრეთში ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა და გამოთქმულია სურვილი რუსეთის მუშებთან ერთად უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლონ პროლეტარიატის მტრების წინააღმდეგ, მოსკოვის რადიო სადგურმა შემდეგი პასუხი გადაგზავნა ბუდაპეშტში: „გულწრფელ სალამს უგზავნით უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარულ მთავრობას და კერძოთ ამხანაგ ბელაკუნის. თქვენ მიერ გამოგზავნილი ცნობა გადავეცი რუსეთის ბალშ. პარ. კომუნისტურ კონგრესს. თქვენს ცნობას დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ. იმისთვის, რომ გადმოგცეთ ცნობები მოსკოვის კონგრესის და სამხედრო მოქმედების შესახებ, აუცილებელია, რომ მოსკოვსა და ბუდაპეშტს შუა განუწყვეტლათ მუშაობდეს რადიო. კომუნისტურ სალამით, ლენინი“.

რეინის ლოთონის და მანქანების ქარხანა დიუსელდორფში, რომელსაც გერმანიაში მეორე ადგილი ეჭირა ზარბაზნების კეთების საქმეში, შეუდგა მშვიდობიან დროის სამუშაოს. როგორც კრუპის ქარხანა ესენში, ისიც შეუდგა ორთქმავალების და მატარის მანქანების კეთებას.

მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ ზავის პირობებისადმი უნდობლობა გერმანიაში იზრდება, რადგან ხედავენ, რომ მოკავშირენი მხარს უჭერენ პოლონელების მიერ დანციგის მოთხოვნას და ფრანგები ერევიან წმინდა გერმანულ გზების საქმეში, როგორც მაგალითად კილის არხია. შეუძლებელია ახალ ევროპის მოწყობა, თუ უარჰყვეს გერმანიის თანამშრომლობა. გერმანიის ქონებას მოკავშირენი დაყალთ სთვლიან, მაგრამ მათი ასეთი მოქმედება მიუღებელია, თუნდაც მათ ძალა იხმარონ ან შინშილის ბლოკადა განაგრძონ.

ბელგიის სოციალისტური პრესა მოითხოვს მალმედის შემოერთებას, რომელიც ათასი წლის განმავლობაში გერმანიას ეკუთვნოდა. „ფარვერტსი“ სწერს, რომ მალმედის მუშებმა არ სცადეს იერიშით აეღოთ სტეინბახის ქარხანა, სადაც ბელგიის დროშა აფრიალეს. მალმედიაში ჩამოსულ ბელგიის აგენტებს მუშები მტრულათ შეხვდნენ.

ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა დადგინა 9 ხვით წინაღმდეგ 8 ხვისა დაინიშნოს ახალი არჩევნები.

ᲮᲐᲚᲮᲕᲔᲙᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარ. 23. ქალაქ ლიტონის დაპერის დროს წითელმა ჯარმა წამოიყვანა ტყვეთ 5000 პეტლიურას ცხენოსანი ჯარისკაცი. № ის არმიის შტაბი. წითელი ჯარი ყირიმისაკენ მიიწევს. დნეპრის დივიზიის ნაწილმა დაიპყრა სადგური რიეკო, ნოვო-ალექსეევკა და სიეაში მიუახლოვდა. **კიევი.** მარ. 23. ცნობების მიხედვით, გალიციაში რევოლიუციონერი მოძრაობა იზრდება. ამას ხელი შეუწყო რუს კომუნისტ ტყვეების აგიტაციამ. პირველათ აჯანყდნენ დროგობიჩის რაიონის სამრეწველოების მუშები და დაიარსეს მუშათა დეპუტატების საბჭო. შემდეგ კოლუის მარილის მადაროებში მომუშავეთა აჯანყებულების წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი მათ მხარეზე გადავიდა. რევოლიუცია მოედო მთელ გალიციას. ქალაქებმა ჰოდგაიციმ, გალიჩმა, როგატიმმა, ბერეჟანიმ თავის თავი საბჭოთა რესპუბლიკათ გამოაცხადა. ლვოვში მუშათა დეპუტატ. საბჭო დაარსეს და საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. გოლოუბოვიჩის კაბინეტის მიერ გაგზავნილი ჯარი სტანისლავოვის რაიონში შეეურთდა აჯ ნყებულთ. აჯანყებულები შეავიდნენ სტანისლავოვში და გოლოუბოვიჩი დაპატიმრეს. სტანისლავოვკა აჯ ნყებულების ბუდეა. **ეენევა.** მარტის 24. ისპანიის მთავრობის მიერ კატალონიაში გაგზავნილი დამსჯელი რაზმის ექსპედიციამ მთავრობისთვის უნაყოფოთ ჩაიარა. მეზღვაურებმა სინდიკალისტების წინააღმდეგ მოქმედებაზე უარი განაცხადეს. ბარსელონაში მოხდა მანიფესტაციები რევოლიუციონურ მეზღვაურთა პატივსაცემლათ. **ნიუეენი.** მარტის 23. მეზღვაურთა კრებამ დაადგინა არ დათმოს გემები, რომელნიც დროებითი ზავის პირობების თანახმად მოკავშირეებს უნდა გადაეცეს. **სტოკგოლმი** მარტის 22. ინგლისის გაზეთების ცნობით აღმოსავლეთ ციმბირში სერიოზული აჯანყებები მოხდა. ბლაგოვეშჩენსკში, კრასნოიარსკში და ამურზე მომხდარი აჯანყებები საბჭოთა მთავრობის აღსადგენათ იყო მიმართული. აჯანყებულებმა გაიფიცეს რკინის გზის ლაინდაგი და ხიდი. აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდენ იაპონიის ჯარები. აჯანყებულნი დღესაც იბრძვიან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲔᲑᲘ

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ აღრარულ რეფორმათა ნაწილმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება ჯერ ჯერობით ძალაში რჩება, რომლითაც ყოველგვარი ხელშეკრულებანი ქალაქ გარეშე მდებარე მიწებზე აღკრძალულია.

◆ **სამაზრო ერობები.** თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობებისა, სამაზრო ერობები საქართველოს რესპუბლიკაში უკვე იბარებენ საქმეებს და ქონებას ყოფილ სამხედრო მეგრის საკრებულოებისა, რომელიც უკვე გაუქმებულ არიან.

◆ **ტიგრან დეოიანის საქმე,** რომელსაც ბრალდება საქართველოს რესპუბლიკის ღალატი გაირჩევა საოლქო სასამართლოში აპრილში.

◆ **ტელეგრაფი.** გენ. კვინიტაძე დეპეშით სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დაუყონებლივ გასცეს ბრძანება ახალციხე-ახალთუმანის შუა სატელეგრაფო მოძრაობის აღდგენის შესახებ.

◆ **ლტოლვილები მესამახე ვერხნე.** გზათა სამინისტრო ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მესამახე ვერხნე ბარაკებში ლტოლვილები ამტვრევენ ბარაკებს, რითაც დიდ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს. გზათა სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს გაფრთხილება, რომ ბარაკების მოსაველელად დანიშნულ იქნას ადგილობრივ მუდმივი მცველები.

◆ **თფილისის დრამატიული დასის მოგზაურობა.** ამ მოკლე ხანში დრამატიული დასი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში წარმოდგენების გასამართავად. დასის შემადგენლობა ასეთია: ქალნი: ჩხეიძე, ამირჯანი და ჯავახიშვილი, ვაჟნი: ბარდილიშვილი, არაბიძე, ბარველი, ვეარაძე, ფანიშვილი, ჯაფარიძე, გურგენი, თარალაშვილი, და სხვ. დასი ეწვევა შემდეგ ქალაქებს: გორს, ხაშურს, სენაკს, ფოთს, ბათუმს, ოზურგეთს, სოხუმს, გუდაუთს, ლანჩხუთს და ჭიათურას. რეპერტუარი: სიო ჭანტურიშვილის „ბურუსი“. ფოსის „დამნაშავეა“. ენგელის „ხლეასთან“. მთავრობამ დასს დაუთმო ცალკე ვაგონი.

◆ **ლეკურის კურსები,** მსახიობ ელენა ანდრონიკაშვილისა 1-ლი აპრილიდან გაიხსნება მე 7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისაველი ევანგელოვის ქუჩიდან, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, პირველი კარები.

ჩაწერა კურსებზე შეიძლება სადამოს 5-დან 7 საათამდე.

◆ **საპყრობილეთა ინსპექციის ხედი.** თფილისის სასამართლო პალატის პროკურორმა ა. ს. გელაბარიშვილმა მოხსენება წარუდგინა იუსტიციის მინისტრს იმის შესახებ, რომ სასურველი არ არის საპყრობილეთა ინსპექციის გაუქმება და მის ფუნქციების გადაცემა სასამართლო პალატის პროკურორისათვის, როგორც ეს განზრახული იყო მთავრობის მიერ. პროკურორის მოხსენება სამინისტროს სადასტურო დასკვნით წარედგინება მთავრობას.

◆ **„ᲒᲐᲬᲣᲒᲔᲑᲘᲡᲘ ᲬᲚᲔᲞᲐᲠᲘ“,** დ. თურდოსპირელის ნოველები მიიღო რედაქციამ. წიგნი სუფთად და ლამაზათ არის გამოცემული, შეიცავს 64 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

◆ **ლექციები.** ღღეს, სადამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია ლექციები: 1) მ. ფალამბერიძისა „ქიმია“. 2) ინგ. ალშიბაიას „ელექტრობა“.

— ღღეს, საღ. 6 ს., (ჩუღურეთში) სერ. ეორ ყოლიანისა: „საქართველოს ნწერლობის ისტორია“ და ეკ. ტურთაშვილისა „ჰიგიენაზე“.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— ღღეს, სადამოს 7 საათზე, მე 9 უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რუსტაველის ქუჩა № 31) დანიშნულია საქართველოს სოც. დემ. მ. ჯ. წევრთა კრება. ესთხოვთ ყველა ამხანაგებს, ვინც კი მე 9 საკომისარიატოში სცხოვრობს, გარდა რკინის გზის გადადმისა, აუცილებლად დაესწრონენ კრებას.

— ღღეს, 28 მარტს, ოთხშაბათს საღამოს 4 საათზე ნაძალადევის კლუბის შენობაში დანიშნულია ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება.

— ხუთშაბათს, 27 მარტს, სადამოს 5 საათზე ცენტრალურ ფოსტის დარბაზში (მიხეილის ქრ. № 44) დანიშნულია თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში მოსამსახურე სოციალდემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებენ დამფუძნებელი კრების წევრები: ი. გომართელი და რ. ჩიხლაძე.

— **ამერიკ-კავკასიის უნივერსიტეტის** ქართველ სტუდენტთა დელეგაცია იწვევს ამავე უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრებას ღღეს, 26 მარტს, სადამოს 5 საათზე (გოლოვინის პრეს. № 10). ღღის წესრიგი: დელეგაციის მოხსენება.

— ღღეს, სადამოს სრულ 7 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში (მიხეილის ქუჩა, სახლი № 91) დანიშნულია უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. აუცილებლად უნდა დაესწრონ ქართულ განყოფილებათა მიერ არჩეული ლექტორნი გამგეობის წევრნი.

— თფილისის მესამე შერჩეულ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა იწვევს ამხანაგობის ყველა წევრებს სახოგადო კრებაზე, ხუთშაბათს 27 ამ თვეს ნაშუადღევის 4 საათზე, მუშათა კლუბში, ყოფილი „ბო-მონდის“ სასტუმრო.

ᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲣᲒᲜᲘ

ეს უბანი დიდია, აქ უმეტესად ცხოვრობს მუშა ხალხი. მთელი ეს რაიონი სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრ ნაკლულოვანებას განიცდის. უმოქმედობაშია მუშათა კლუბი, რომელსაც განაგებს უბნის კომიტეტი. ეს კლუბი არსებობს თითქმის ორი წელიწადია და მეტად ჩამორჩენილია.

მთელმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ არც ერთი წარმოდგენა, ან ლექცია არ გამართულა. და თუ ვინმემ მოისურვა წარმოდგენის გამართვა, ამის ნებას არ თხოვს უბნის კომიტეტი. საკითხავია— რა გააკეთა ამ უბნის კომიტეტმა ორ წელიწადში? სამკითხველო, რომელიც არსებობდა, და აფარებელა წიგნებიც ჰქონდა შეძენილი, ღღეს აღარ არსებობს.

საჭირო უბნის შეგნებულმა პირებმა მიიქციონ ყურადღება, იხსნან სახალხო ქონება დაღუპვისაგან, ამოკმედდენ და გააცოცხლონ კულტურული მუშაობა.

ერთობის უბნელი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲒᲠᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲒᲘᲡ ᲣᲠᲘᲚᲝᲒᲑᲐ

21 მარტი,

თავმჯდომარეობს კალანდარიშვილი.

ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲫᲔ მოხსენებას აკეთებს საარეიზიო კომისიის მოქმედების შესახებ. ის აღნიშნავს, რომ მუშაობა სტამბებში, ცენტრალურ სამრეწველოებში და სხვაგან წესიერად სწარმოებს და არავითარი ბოროტ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია; მხოლოდ წისქვილში 1000 ფუთი ხორბალი აღმოჩენილა იმაზე მეტი, რაც ნამდვილად უნდა ყოფილიყო. ყველა დაწესებულებების თანამშრომლებს ეტყობათ ხალისი და საქმისადმი მუყაითობა. თავის სიმაღლეზე არა სდგას საფთიაქო საწყობი, სადაც არ ხდება ახალის შეძენა და ძველი კი თავდება. საარეიზიო კომისია იმ დასკვნამდე მისულა, რომ მთავარი კომიტეტის ინსტრუქცია შეცვლილ იქნას. ეხლანდელ პირობებში არ არის მთავარი კომიტეტი—ხმოლოდ ბიუროო არსებობს, რომელიც სრულ პატრონათ გამოდის; არ არის უმაღლესი ორგანო, რომელიც მას ხელმძღვანელობდეს და მის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდეს. საქმის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ მთავარ კომიტეტსა და ბიუროს სხვადასხვა თავმჯდომარე ჰყავდეს. მთავარ კომიტეტში უნდა შედიოდენ ადგილობრივი წარმომადგენლები და ორჯერ მეტი, ვინემ ბიუროში. საარეიზიო კომისიას უნდა ირჩევდეს მთავარი კომიტეტი, რომელსაც ის წარუდგენს პერიოდულ მოხსენებას.

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კამათის გათავებისას მიღებულ იქნა რეზოლიუცია. ვინაიდან მომხსენებელის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კომისიის მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ თავმჯდომარეს უხდებოდა მუშაობა, გამოეცხადოს მას მადლობა; აირჩეულ იქნას ახალი საარეიზიო კომისია, რომელიც იხელმძღვანელებს ძველი წესით და დაეკვალოს მას გააკეთოს ის, რაც ძველ კომისიას არ გაუკეთებია.

არჩევნები გადაიდო უკანასკნელ დღისთვის. ამის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს მომხსენებელის მიერ წარდგენილ ინსტრუქციას, რომელიც ზოგიერთი შესწორებების შემდეგ ყრილობამ მიღო.

კოლექტიური ხელშეკრულების განსახილველად ყრილობამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შედიან: კანიევი, რუსია, გაგუა, ფურგანიძე და ჯაჯანაშვილი. კომისიას მეორე დღეს უნდა წარმოედგინა თავისი შეხედულება კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ მოხსენებაზე.

დასასრულ ყრილობამ მოისმინა ქეშიმ კიკალიშვილის მოხსენება წინწკლიან სახადათან ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა აღნუსხა ის დამოკიდებულება, რომელიც იყო ქალაქებსა და ქალაქთა კავშირის შორის. და როგორ დამმარებას უჩენდა პირველს უკანასკნელი.

მოითხოვა, რომ ყოფილ ქალაქებში დაარსებულ იქნას 20 საწოლიანი სანატორია ბავშვებისთვის. ამ საქმეში ბ. ბ. ბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავეს მაღლობები საღარაჯო ნაწილებით.

9 და 10 მარტს ჯარი ისვენებდა და აწყარმოებდა გამაგრებულ მტრის დაშვებას, რომელმაც გამოირკვა, რომ მტერი სიჩქარით თავს იყრიდა სოფლებ ხეკ-ორჯოლის სამხრეთით მდებარე ხეობაში.

11 მარტს, გათენებისას, რაზმმა იწყო წინსვლა სოფლებ ვალი-წყალ-თბილას მიმართულებით, რომელიც შემდეგ გამოირკვა მცხოვრებთა შორის შეკრებილი ცნობებიდან, მტერს გადაწყვეტილი ჰქონდა მოქმედება ჩვენი მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და მისი შემორტმით უნდოდა მას გეომეორებინა ის მანიოვრი, რომელმაც თებერვალში გამოიწვია ჩვენი ჯარის უკან დახევა და აი აწყრთ ამ მიზნით ხდებოდა ზემო მოხენებულ ალაგას მტრის ჯარების თავის მოყრა, მაგრამ ყოველივე ეს ადრეე დარჩა გათვალისწინებული და აქ რომელი მტრის ნაწილები შეცვრათ შეიჩეა მესამე რაზმს, რომელიც მთელი მისი შემადგენლობით გასწრებ იყო გაგზავნილი ამ მიმართულებით; გამიმართა მეორე ბრძოლა, მაგრამ მეორე რაზმმა პირველი რაზმის ერთი გუნდის და ტყეო მფრქვეველების დახმარებით ეს ალაგიც ბოლოს ... მანიოვრი, რომელმაც თებერვალში გამოიწვია ჩვენი ჯარის უკან დახევა და აი აწყრთ ამ მიზნით ხდებოდა ზემო მოხენებულ ალაგას მტრის ჯარების თავის მოყრა, მაგრამ ყოველივე ეს ადრეე დარჩა გათვალისწინებული და აქ რომელი მტრის ნაწილები შეცვრათ შეიჩეა მესამე რაზმმა, რომელიც მთელი მისი შემადგენლობით გასწრებ იყო გაგზავნილი ამ მიმართულებით; გამიმართა მეორე ბრძოლა, მაგრამ მეორე რაზმმა პირველი რაზმის ერთი გუნდის და ტყეო მფრქვეველების დახმარებით ეს ალაგიც ბოლოს ... ...